პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

21 ნოემბერი შაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 273 (14877)

საკლესიო ცნობა

მთვარემავლის მესამე საუშაო დღე

20 ნოემბერს 00 საათსა და 00 წუთზე მოსკოვის დროით დაიწყო მთვარემავალთან კავშირის მორიგი სეანსი. ამ დროს თვითმავალი აპარატი იმყოფებოდა შორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრის რადიოხილვადობის ზონაში. 4 საათისა და 25 წუთის განმავლობაში სრულდებოდა მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერიმენტები და ხორციელდებოდა მთვარემავლის გადაადგილება.

რენტგენული სპექტრომეტრის საშუალებით განისაზღვრებოდა მთვარის ქანების ზედაპირული ფენის ქიმიური შედგენილობა. გრძელდებოდა ექსპერიმენტები მთვარის გრუნტის მექანიკური თვისებებისა და მთვარემავლის გამავლობის გამოსაკვლევად. ამასთან გამოყენებული იყო ხელსაწყო, რომელსაც აქვს ტვიფრი გრუნტში შესაღწევად, და შასიზე მოქმედი ძალვის გასაზომ გადამწოდთა სისტემა.

რენტგენული ტელესკოპის საშუალებით გრძელდებოდა გალაქტიკისგარეთა რენტგენული გამოსხივების გაზომვა, რაც მიუწვდომელია დედამიწისეული ხელსაწყოებისათვის.

მთვარემავლის ბორტიდან მიღებულ იქნა მთვარის ლანდშაფტის ახალი პანორამული გამოსახულებანი. სურათებზე მკაფიოდ მოჩანს თვითმავალი აპარატის ნაკვალევი, მთვარის ზედაპირის დეტალები და მთვარემავლის კონსტრუქციის ელემენტები. მოძრაობის ტრასის მიმოხილვისა და შეფასებისათვის გათვალისწინებული სატელევიზიო კამერები გადმოსცემდნენ საჭირო ცნობებს დასერილი ადგილმდებარეობის პირობებში გადაადგილებისათვის. ცალკეულ მონაკვეთებზე ზედაპირის დახრილობა 14 გრადუსს აღწევდა. თვითმავალი აპარატის მოძრაობის გზაზე აღმოჩნდა საკმაოდ ღრმა კრატერი, რომლის შემოვლა წარმატებით განახორციელეს ოპერატორებმა. სეანსის დროს მიღებულ იქნა დიდძალი ტელემეტრიული ინფორმაცია. ამ დროის განმავლობაში თვითმავალმა აპარატმა გაიარა 82 მეტრი მანძილი. მთვარემავლის მიერ შესრულებული მანევრების შედეგად მისი დაშორება „ლუნა-17“ ავტომატური სადგურის დასაჯდომი საფეხურიდან შეადგენს 125 მეტრს.

საბჭოთა თვითმავალი ავტომატური აპარატი „ლუნოხოდ-1“ კვლავ წარმატებით ასრულებს გამოკვლევათა და ექსპერიმენტთა პროგრამას წვიმების ზღვაში.

გულითადი მადლობა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 53-ე წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს მშრომელთა, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და დაწესებულებების კოლექტივთა, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომართა მრავალი მისასალმებელი დეპეშა და წერილი. მისალმებანი მიღებულია აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიებისაგან, ეროვნულ-დემოკრატიული და მემარცხენე-სოციალისტური პარტიებისაგან, მთავრობების, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეებისაგან, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ცალკეული მოქალაქეებისაგან. დეპეშები და წერილები შეიცავენ გულთბილ მოლოცვასა და კეთილ სურვილებს ამ ღირსშესანიშნავი თარიღის გამო.

საზღვარგარეთელი მეგობრები მაღალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, განსაკუთრებით აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის როლს მსოფლიო რევოლუციურ პროცესში, დიადი ლენინური იდეების მნიშვნელობას სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში. ისინი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, საბჭოთა კავშირის ხალხებს უსურვებენ ახალ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში, სოციალისტური ქვეყნების, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, მთელი რევოლუციური ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობისა და ინტერნაციონალური შეკავშირების განმტკიცების საქმეში, იმპერიალიზმისა და მისი აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითად მადლობას უხდიან ყველა მშრომელთ, საბჭოთა კავშირის პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საზღვარგარეთის ქვეყნების მომმე პარტიებს, მთავრობებს, სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ყველა საზღვარგარეთელ მეგობარს იმისათვის, რომ გულწრფელად მიულოცეს და ყოველივე საუკეთესო უსურვეს საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და სსრ კავშირის მთავრობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია 1970 წლის 22 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 20 ნოემბერი.

მეტი ახალმოსახლეობა საიუბილეო წელს!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მოწინავე მშენებელთა ინიციატივა და საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაავალა ყოველნაირად დაუჭირონ მხარი მოწინავე მშენებელთა ამ თაოსნობას, მთელი ძალღონე მოახმარონ საბინაო მშენებლობის მიმდინარე წლის გეგმების უთუოდ შესრულებას.

ყოველწლიურად იზრდება და ლამაზდება ჩვენი რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები. ფართოდ არის გაშლილი საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. საქართველოს მშრომელებს არ ახსოვთ მშენებლობის ასეთი ფართო მასშტაბი და გაქანება. ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში მარტო სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხახრებით აშენდა და ექსპლოატაციოდ გადაეცა 6 მილიონ 937 ათასი კვადრატული მეტრი საერთო საცხოვრებელი ფართობი, ახალი ბინა მიიღო და ახალმოსახლეობა იზეიმა 553 ათასზე მეტჯერ ოჯახმა. მარტო მიმდინარე წელს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ უნდა აშენოს და მოსახლეობას ჩააბაროს 754.041 კვადრატული მეტრი საერთო საცხოვრებელი ფართობი. ყოველივე ეს ჩვენი მშენებლების მარჯვენის მადლია. ამიტომ მათს შრომას ჩვენში ყველა სცემს პატივს.

დღეს, როცა დრო ითვლის მიმდინარე ხუთწლედის უკანასკნელ დღეებს, ახლოვდება სკკპ XXIV ყრილობის მოწვევის ვადა, საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავი სულ უფრო ფართოდ, უფრო აქტიურად ჩადგება ხუთწლედის ვადამდე დამთავრებისა და ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლა.

ამ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებაში ჩაბმული არიან ჩვენი სახელოვანი მშენებლებიც. ისინი იმისათვის იბრძვიან, რომ საიუბილეო წელს რაც შეიძლება მეტი საცხოვრებელი ფართობი ჩააბარონ მშრომელებს. მოწინავე მშენებელთა კოლექტივები დაპირებას პირნათლად ასრულებენ. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის (მმართველი ა. ბულია) კოლექტივმა განვლილ 10 თვეში რუსთავის მშრომელებს საცხოვრებლად ჩააბარა 40.691 კვადრატული მეტრი ფართობი, რაც დავალებას დიდად აღემატება. მშენებლებმა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვით, სამშენებლო ტექნიკის მაქსიმურად გამოყენებით მშენებლობის თვითღირებულება 9,9 პროცენტით შეამცირეს, ხოლო შრომის ნაყოფიერება 1,8 პროცენტით აამაღლეს, მიღებულია 517 ათასი მანეთი ეკონომია. აღსანიშნავია ისიც, რომ ტრესტში შემავალი ყველა სამშენებლო სამმართველო გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს. ბინათმშენებლობის წლიური გეგმები შეასრულეს კომპლექსურმა ბრიგადებმა, რომლებსაც გ. დემეტრაშვილი, რ. ბარათაშვილი, ა. კენჭოშვილი, ვ. ავაქოვი, ს. ხაჭაპურიძე ხელმძღვანელობენ. ამ ბრიგადების მიერ აგებული სახლები მიღებულია „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებით.

ნაყოფიერად შრომობს და ჭუთაისელ მშრომელთა სიყვარულსა და პატივისცემას იხვეჭს № 4 სამშენებლო ტრესტის (მმართველი კ. აბესაძე) კოლექტივი. სახელოვანმა მშენებლებმა განვლილ ათ თვეში საბინაო მშენებლობაზე 4 მილიონ 347 ათასი მანეთი აითვისეს და დავალება 111 პროცენტით გაანაღდეს, ხოლო ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 106 პროცენტით შეასრულეს. ჭუთაისელმა მშრომელებმა 19 ათასი კვადრატული მეტრის ნაცვლად ათ თვეში 20.840 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი მიიღეს. ასევე ნაყოფიერად შრომობენ № 13 ტრესტის (მმართველი მ. კუპრეიშვილი) და ტრესტ „ბიჭვინთმშენის“ (მმართველი ტ. ჭიქია) სამშენებლო კოლექტივები.

მიუხედავად ამისა, საქართველოში საბინაო მშენებლობის ტემპი არადამაკმაყოფილებელია, მშენებლობა წარმოებს არარიტმულად, ადგილი აქვს იერიშობანას. მთელი რიგი შენობები ბარდება დეფექტებით, რომელთა გამოსასწორებლად მცხოვრებლებს დიდი დრო და სახსრები სჭირდებათ. ამაზე მეტყველებს ასეთი ფაქტი: მარტო სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა სახსრებით მიმდინარე წელს რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 547.895 კვადრატული მეტრი საერთო ფართობი, ფაქტიურად 10 თვეში მოსახლეობამ მიიღო 234.614 მეტრი, ე. ი. წლიურ გეგმასთან შეფარდებით დავალება შესრულებულია 43 პროცენტით. მშენებლებმა ეს დიდი დანაკლისი მეოთხე კვარტალში უნდა დაფარონ. ცხადია, მუშაობის ასეთ პირობებში იერიშობანა გამორიცხული არ არის. ეს კი უარყოფითად მოქმედებს მშენებლობის ხარისხზე, იწვევს მობინადრეთა კანონიერ უკმაყოფილებას.

საბინაო მშენებლობა ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია თბილისში. ზოგიერთი უბენირო მშენებლის წყალობით თბილისელ მშრომელებს განვლილ სამ კვარტალში დააკლდათ 31 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი. კიდევ უარეს მდგომარეობაშია კოოპერაციული ბინათმშენებლობა.

საბინაო მშენებლობაში ასეთი ჩამორჩენას ადგილი არ ექნებოდა, ყველა სამშენებლო ტრესტი, მათი სამმართველოები გამართულად რომ მუშაობდნენ. ჯერ კიდევ არიან ისეთი სამშენებლო კოლექტივები, რომლებიც სისტემატურად ჩამორჩებიან, თავი ვერ გაართვეს სამუშაოებს და თავიანთი უხეირო მუშაობით უკან სწევენ საბინაო მშენებლობას. № 12 ტრესტის (მმართველი გ. ანდღულაძე) კოლექტივმა საბინაო მშენებლობის 10 თვის გეგმა მხოლოდ 30 პროცენტით შეასრულა. დღეისათვის საექსპლოატაციოდ ჩაბარებული აქვს 3 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობი, წლიური გეგმა კი 10.500 კვადრატული მეტრის ჩაბარებას ითვალისწინებს. ასევე სავალალო მდგომარეობა აქვთ № 10 და № 2 ტრესტების კოლექტივებს, რომლებსაც ბინების საექსპლოატაციოდ ჩაბარების გეგმები სანახევროდაც არა აქვთ შესრულებული (მმართველები პ. ნაკაიძე და ვ. ჭურაძე).

ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მშენებლები წლის დასაწყისიდანვე არ ქმნიან პირობებს გამართული მუშაობისათვის, სუსტად იყენებენ შენობათა აგების ნაკადურ-ჩქაროსნულ მეთოდს, მცირე ხვედრითი წონა აქვს დიდი პანელებით სახლების მშენებლობას. სწორ ტექნიკურ პოლიტიკას მოხერხებულად ვერ უხამებენ აქტიურ ორგანიზაციულ მუშაობას, მაქსიმალურად ვერ იყენებენ ტექნიკას, ცუდია შრომის ორგანიზაცია. ძირეული პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად არ უწევენ კონტროლს საქმის მიმდინარეობას, ცუდად ზრუნავენ მოწინაგე გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის.

მშენებლობის ასეთი ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი ისიც არის, რომ შეცდომებია დაგეგმვაში, აკლიათ მუშახელი, ცუდია საშენი მასალებით მომარაგება, ხშირად შეჭკეთნი დაგვიანებით აწვდიან ტექნიკურ დოკუმენტაციას, ყოვნდება სანარდო ხელშეკრულებათა გაფორმება და სამუშაოთა დაფინანსება, გრაფიკს ჩამორჩება მოედნების მოწყობა.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მოწინავე მშენებელთა კოლექტივებმა საბინაო მშენებლობის დაჩქარებისათვის ახალი ინიციატივა გამოიჩინეს და ვალდებულება იკისრეს არა მარტო წარმატებით შეასრულონ მიმდინარე წლის პროგრამა, არამედ შექმნან საჭირო პირობები მომავალ წელს ბინების რიტმული მშენებლობისათვის. მათ მოწოდებით მიმართეს ყველა სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციას, ყველას, ვისაც საქმე აქვს საბინაო მშენებლობასთან, მხარი დაუჭირონ ამ ინიციატივას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მოწინავე მშენებელთა ინიციატივა და შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს დაავალა მხარი დაუჭირონ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მოწინავე მშენებელთა ინიციატივას და მთელი ძალღონე მოახმარონ მიმდინარე წლის საბინაო მშენებლობის გეგმის უთუოდ შესრულებას.

მოწინავე მშენებელთა ამ ინიციატივამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა რესპუბლიკის მშენებელთა შორის. ახლა მთავარია სამინისტროებისა და უწყებების, სამშენებლო ტრესტებისა და სამმართველოების ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა შეუქმნან თვითეულ კოლექტივს, თვითეულ მუშაკს გეგმისა და ვალდებულებათა ნაყოფიერად შესრულების პირობები, უფრო სწრაფად წამოსწიონ ჩამორჩენილი უბნები.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საბინაო მშენებლობა არა მარტო სამეურნეო, არამედ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანაც არის. საექსპლოატაციოდ გადასაცემი სახლი უნდა აშენდეს ვადაზე და კარგად.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშენებელთა არმია ნარმაებებით დაამთავრებს ხუთწლედის ბოლო წელს, საექსპლოატაციოდ გადასცემს გეგმით გათვალისწინებულ საცხოვრებელ სახლებს.

და, რაც შეიძლება მეტმა ოჯახმა იდღესასწაულოს საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავი ახალ კეთილმოწყობილ ბინებში!

ელექტრონული მრეწველობა

ელექტრონული მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს წარმოების მოცულობის 1966-1970 წლების ხუთწლიანი დავალება. მიმდინარე წლის ბოლომდე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით დამზადდება დამატებითი რადიოენობის ნახევარგამტარი ელსაწყოები, მიკროელექტრონიკის ნაწარმი, კინესკოპები და სხვა ელექტრონული ტექნიკა.

ხუთწლიანი გეგმის დავალებანი შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში შესრულებულია ოთხ წელიწადში. 1970 წლის დამლევისთვის შრომის ნაყოფიერება 1965 წელთან შედარებით გაიზრდება 82 პროცენტით და მეტად. (საკდესი).

საკავშირო მრეწველობა

საკავშირო მრეწველობის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა მიმდინარე წლის 23 ოქტომბერს მიაღწიეს წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ამ დონეს, რაც გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით. 1970 წლის ბოლომდე მრეწველობა მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოუშვებს პროდუქციას ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით.

წარმოების მოცულობის ზრდის 80 პროცენტზე მეტი ხუთწლედის განმავლობაში უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების საფუძველზე.

1966-1970 წლებში შეიქმნა და დაინერგა სამოქალაქო ავიაციის ხაზებზე და საზღვარგარეთ „ილ-62“, „ტუ-134“ და „იაკ-40“ სამგზავრო ჩქარი. თვითმფრინავები, მთავრდება ახალი სამგზავრო „ტუ-154“ თვითმფრინავის გამოცდა.

საავიაციო მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა დიდი შრომა გასწიეს წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებისათვის, მაღალი წარმადობის მოწყობილობის დანერგვისათვის, ტექნოლოგიური პროცესების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფისათვის. (საკდესი).

ჩვენს საწარმოებში

● სოხუმი. რეალიზებულია 211 ათასი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია, ვიდრე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა. უპატაკეს სამშობლოს „აფსაზღვინკომბინატის“ მშრომელებმა. მიღებულია 5.819 ათასი მანეთი მოგება, რაც დავალებას ბევრად აღემატება. აღსანიშნავია, რომ ხუთი წლის გეგმას უკვე გადააჭარბა კომბინატში შემავალმა ყველა საწარმომ.

კომბინატის კოლექტივებმა იკისრეს მიმდინარე წლის ბოლო კვარტალში დამატებით გამოუშვან 100 ათასამდე დეკალტრი ღვინო, 40 ათასი დეკალტრი არაყის ნაწარმი და მოახდინონ 1,5 მილიონი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.

● თბილისი. სამტრესტის ღვინის № 3 ქარხანამ ვალდებულებათა ნაკისრ ვადაზე ადრე ყველა მაჩვენებლით შეასრულა ხუთწლიანი გეგმა. დავალების გადამეტებით გამოშვებულია ათასობით დეკალტრი ღვინის ნაწარმი. პროდუქციის რეალიზაციით მიღებულია დიდი მოგება.

მეღვინეებმა გაზრდილი ვალდებულება იკისრეს სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

● ქობულეთი. ტრესტ „საქჩაიმეურნეობებს“ ქობულეთის ტუნგის ზეთსადენის ქარხანამ, რომელიც ამ პროფილის ერთადერთი საწარმოა ჩვენს ქვეყანაში, უკვე ხამი თვეა მომავალი ხუთწლედის ანგარიშში შრომობს. დღემდე აქ ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 669 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია, 624 ათასი მანეთის ღირებულების ძვირფასი ტუნგის ზეთი, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიიღეს 199 ათასი მანეთი ეკონომია. ზეგეგმითმა მოგებამ 1 მილიონ 30 ათასი მანეთი შეადგინა.

● თელავი. ფიქალ-მარმარილოს კომბინატის კოლექტივმა უკვე შეასრულა ხუთწლიანი გეგმა. გამოშვებულია 6.664 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია. მარტო მიმდინარე წლის 10 თვეში აქ მიღებულია 58 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

კომბინატის კოლექტივი წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვებს 300 ათასი მანეთის პროდუქციას.

● ჭიათურა. (საკ. კორ.). ლენინის ორდენოსანი მარგანეცის ტრესტის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა 55 დღით ადრე შეასრულა სასაქონლო პროდუქციის დამზადების ხუთწლიანი გეგმა, სამშობლოს მისცა 1.495.600 ტონა სასაქონლო მადანი. გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 3,5 პროცენტით. თვითღირებულების შემცირებით მარტო წელს დაზოგილია 114 ათასი მანეთი.

ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს საწარმოო უბნების კოლექტივებმა, რომლებსაც ო. კობახიძე, ა. სამყურაშვილი და დ. კილაძე უძღვებიან, აგრეთვე მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის ალ. მოდებაძის ხელმძღვანელობით.

მაღაროს კოლექტივმა იკისრა ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს 45 ათასი ტონა სასაქონლო მარგანეცი.



მეასრულეს ხუთწლედი

ციტრუსოვანთა ბაღებში

მზიანი, თბილი ამინდებია აფხაზეთში. ამ დღეებში ციტრუსოვანთა ბაღებში განსაკუთრებული გამოცოცხლებაა. მეციტრუსეები იმჭიან თავდადებული შრომის კარგ ნაყოფს. უკვე მასობრივად არის გაჩაღებული მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის კრეფა. უხვი მოსავალი მოიყვანეს წელს საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის ეშერის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში. აქ 130 ჰექტარი ციტრუსოვანთა ბაღებს უჭირავს. აქედან სრულმოსავლიანია 40 ჰექტარი.

ამ მეურნეობამ (დირექტორი გ. ეშბა, მთავარი აგრონომი ლ. ერქომაიშვილი, პარტბიუროს მდივანი პ. ესვანჯია) წელს ვალდებულებითი სასელმწიფოს უნდა მიაყიდოს 1.300 ტონა მანდარინი, უკვე მიაყიდა 900 ტონაზე მეტი. ციტრუსოვანთა კრეფაში აქტიურად მონაწილეობენ ინსტიტუტის სტუდენტები.

სურათებზე: ზემოთ — საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის სტუდენტები მარინე ჩანგელიძე (მარცხნივ) და რ. კიბალიშვილი მანდარინის კრეფის დროს, ქვემოთ — მეურნეობის შემფუთავი ქარხნის მოწინავე მუშა, კომკავშრომელი ლუბა სამსონია, რომელიც მანდარინის ჩაწყობა-დახარისხების დღიურ დავალებას 130 პროცენტით ასრულებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სომეხი ხალხის ღღესასწაული

სომეხი ხალხის, მთელი ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ცხოვრებაში შესანიშნავ მოვლენას — სომხეთის სს რესპუბლიკისა და სომხეთის კომპარტიის 50 წლისთავს მიეძღვნა მოსკოვის მშრომელების წარმომადგენელთა საზეიმო საღამო, რომელიც 19 ნოემბერს გაიმართა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

მოსკოველები გულთბილად შეხვდნენ მოძმე რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაციას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ხ. არუთინიანის მეთაურობით. დელეგაცია მოსკოვში იმყოფება სომხეთის დღეებთან დაკავშირებით. დელეგაციასთან ერთად პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ა. ხალილოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები ა. პ. შიტიკოვი და ი. ს. ნასრიდინოვა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ა. ი. მიქოიანი და სხვები.

საღამო გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ა. მ. კალაშნიკოვმა.

სომეხი ხალხის დღესასწაული შეკრებილთ მიულოცა თუჯსამსხმელო ქარხნის მემოდელე ზეინკალმა, კომუნისტური შრომის დამკვრელმა ნ. ა. კოჩნოვმა, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. გ. ანდრიევმა.

ტრიბუნაზეა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. გ. ხაჩატრიანი. სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, სომხეთის ყველა მშრომელის სახელით იგი მხურვალედ მიესალმა შეკრებილთ და მათი სახით ყველა მოსკოველს, რითაც გამოხატა დიდი მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობები.

საზეიმო საღამო კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში დამთავრდა დიდსადღესასწაულო კონცერტით, რომელშიც მონაწილეობდნენ სომხეთის სს რესპუბლიკისა და მოსკოვის ხელოვნების თვალსაჩინო ოსტატები.

(საკდესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1970 წლის 19 ნოემბერს 79 წლის ასაკში, ძძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თვალსაჩინო სამხედრო მოღვაწე, ნიჭიერი საბჭოთა მხედართმთავარი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა კავშირის მარშალი

ანდრია ივანეს-ძე ერიომენკო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

მსოფლიო დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთვარის კვლევა გრძელდება

ქოსმოსური კვლევის საბჭოთა პროგრამას ახასიათებს პრინციპული მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემის გადაჭრისადმი გეგმაზომიერი, სისტემატური მიდგომა. ამას ნათლად ადასტურებს მთვარის გამოკვლევა საბჭოთა ავტომატური სადგურების მიერ, რომლებიც თანმიმდევრულად აგროვებენ მეცნიერულ მონაცემებს ჩვენი ბუნებრივი თანამგზავრის შესახებ, თანდათანობით ეცნობიან მის საიდუმლოებებს.

უხსოვარი დროიდან კაცობრიობა სწავლობს თავის „პატარას", როგორც ჩვენს დედამიწას კ. ე. ციოლკოვსკიმ უწოდა. მაგრამ ახლაც არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკმაოდ კარგად ვიცნობთ ჩვენს პლანეტას, მასზე მიმდინარე პროცესების დინამიკას. ბუნების მრისხანე ძალები ჯერ კიდევ მოულოდნელად გვატყდებიან ხოლმე თავს. ჯერ-ჯერობით არ შეგვიძლია ზუსტად ვიწინასწარმეტყველოთ დედამიწის ატმოსფეროს მაღრის მასების ვითარება, ცუდად ვიცნობთ მსოფლიო ოკეანის სიღრმეებს. მთვარის შესწავლა კი რაკეტულ-კოსმოსური ტექნიკის საშუალებით ამ ათეოდე წლის წინათ დაიწყო. ისტორიულად ესოდენ მოკლე ვადაში მთვარის კვლევის დარგში მიღწეული დიდი წარმატებანი, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ დასაბუთებულად ვიმსჯელოთ მთვარის ქანების ქიმიური შემადგენლობაზე, მთვარის რელიეფზე, მისი ცალკეული ფრაგმენტის ასაკზე, მთვარის-ირგვლივი სივრცის ფიზიკურ მახასიათებლებზე.

მთვარის შესწავლა წარმატებით გრძელდება. „ლუნა-17" სადგურმა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტიდან სტარტი აიღო 1970 წლის 10 ნოემბერს. მთვარისაკენ მოძრაობის გზაზე ორჯერ მოიწყო სადგურის კორექცია, რათა უზრუნველეყოთ ავტომატის გასვლა მთვარისირგვლივი სივრცის გათვალისწინებულ რაიონში. მთვარესთან მიახლოებისას ჩაირთო სადგურის ძრავის დანადგარი, ავტომატის სიჩქარე შემცირდა და „ლუნა-17" გადაკიდა სელენოცენტრულ ორბიტაზე ზედაპირიდან 85 კილომეტრ სიმაღლეზე. შედეგ, რთული მანევრირების გზით, შეიქმნა დაჯდომისწინა ორბიტა, რომლიდანაც სადგური მთვარის ზედაპირზე დაჯდა. ეს მოხდა 17 ნოემბერს 6 საათსა და 47 წუთზე მოსკოვის დროით.

მთვარის თვითმავალი აპარატის — მთვარემავლის გარდა, სადგურმა დედამიწის ბუნებრივ თანამგზავრზე მიიტანა მთვარემავალზე დამონტაჟებული ფრანგული ლაზერული ამრეკლავი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იზრდება ორი ქვეყნის თანამშრომლობა კოსმოსური სივრცის შესწავლის საქმეში. ლაზერულ ლოკაციას გამოყენების უდიდესი პერსპექტივები აქვს კოსმოსში. ეს ხერხი, კერძოდ, საშუალებას გვაძლევს დიდი სიზუსტით, რაც მნიშვნელოვნად აღემატება სხვა მეთოდების სიზუსტეს, განვსაზღვროთ მანძილი ბუნებრივი და ხელოვნური წარმოშობის ციურ სხეულებამდე.

რა არის „ლუნა-17" სადგურის ფრენისა და იმ ექსპერიმენტების მნიშვნელობა, რომლებსაც მისი აპარატური შეასრულებს?

მოკლედ ამ საკითხზე შეიძლება ასე ვუპასუხოთ. ამერიკელმა კოსმონავტებმა დედამიწაზე ჩამოიტანეს მთვარის ქანის ნიმუშები სიმაღლიდან ზღვისა და ქარიშხლების ოკეანიდან, საბჭოთა სადგურმა „ლუნა-16"-მა — სიუხვის ზღვის რაიონიდან. როგორც მეცნიერები ამბობენ ხოლმე, ეს არის მხოლოდ რამდენიმე „ნაჩხვლეტი" მთვარის სხეულზე.

ახლა დგას მთვარის გლობალური შესწავლის, მთვარის ვრცელი სივრცის სისტემატური გამოკვლევის ამოცანა, რაც ყველაზე უფრო ეკონომიურად შეიძლება გადაეწყვიტოთ უწინარეს ყოვლისა სამეცნიერო ხელსაწყოებითა და სატელევიზიო აპარატურით აღჭურვილი მძიმრავი მთვარის ლაბორატორიების საშუალებით. მხოლოდ მთვარის მეტი წილი ყველაზე დამახასიათებელი ნაწილების გამოკვლევის, მისი რელიეფისა და ფიზიკური თვისებების ანალიზის მრავალფეროვანი მონაცემების შედეგად შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნები მთვარის წარმოშობის შესახებ. ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ბუნებისმეტყველების ერთ-ერთი უფუნდამენტალური პრობლემის — მზის სისტემის წარმოშობისა და ევოლუციის პრობლემის გადაჭრისას.

ს. ნეგსკი,
მეცნიერი თანამშრომელი.
(საკადესი).

ამერიკის შეერთებული შტატები

თავისუფლება ანჯელა დევისს!

ნიუ-იორკი. 20 ნოემბერი. (საკადესი). **ამერიკის შეერთებული შტატების ხულ ახალი პროგრესული ორგანიზაციები ებმებიან მასობრივ კამპანიაში ამერიკელი კომუნისტის ანჯელა დევისის განთავისუფლებისათვის, რომელიც დამატიმრებულია პოლიციის მიერ შეთითხნილი ბრალდებით თითქოს „მონაწილეობა მიეღოს მკვლელობაში".**

მიტინგი ანჯელა დევისის დასაცავად გაიმართა ფილადელფიაში. მიტინგის მონაწილეებმა პროტესტი განაცხადეს იმის წინააღმდეგ, რომ კალიფორნიის ხელისუფალნი აპირებენ სასამართლოს საშუალებით გაუსწორდნენ ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობის აქტივისტს.

განცხადება, რომელიც გამოს ხელისუფალთა მიერ ა. დევისის დევნას, გააკეთა სან-ფრანცისკოს მშვიდობის დაცვის ქალთა კომიტეტმა. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორს როკფელერს გაუგზავნეს სატელეგრამა წერილი იმის წინააღმდეგ, რომ აპირებენ ანჯელა დევისი გადასცენ კალიფორნიის შტატის ხელისუფლებს.

„ბოლო მოეღოს რასიზმს", „თავისუფლება ანჯელა დევისს", „ხელები შორს ანჯელასა და ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიისაგან", — ასეთი ლოზუნგები ჩაიარა გრანდ-რაპიდზში (მიჩიგანის შტატი) მასობრივმა მიტინგმა, რომელიც მოაწყო „ანჯელა დევისის განთავისუფლებისათვის მებრძოლმა საქალაქო კომიტეტმა. მიტინგზე შეაგროვეს ხელმოწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გასაგზავნ პეტიციაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების ცხრა სამხრეთის შტატის მთელ რიგ ხაზოგადოებრივ ორგანიზაციათა კონფერენციაზე, რომელიც ბირმინჰემში (ალაბამის შტატი) მიმდინარეობდა, მიიღეს გადაწყვეტილება შექმნან „ანჯელა დევისის საქმეზე ინფორმაციის გამავრცელებელი კომიტეტი". კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ამერიკელი კომუნისტის პოლიციური დევნა ნაკარნახევია წმინდა პოლიტიკური მოტივებით. „ანჯელა დევისი რეპრესიების ობიექტად აირჩიეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არის ქალი, ზანგი და კომუნისტი", აღნიშნულია რეზოლუციაში.

სურათზე: ასე დააპატიმრეს ანჯელა დევისი. გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებს გამოყავთ ხელბორკილდადებული ანჯელა დევისი ნიუ-იორკის სასტუმროდან.

ფოტო ეურნალ „ნიუსუიკიდან".

რომი

გულითადობის ვითარებაში

რომი, 19 ნოემბერი. (საკადესი). იმყოფება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ა. ი. პელშე. დღეს იგი შეხვდა იტალიის კომუნისტური პარტიის დელეგაციას.

იტალიის მხრივ შეხვედრაში მონაწილეობდნენ იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ლუიჯი ლონგო და პარტიის ხელმძღვანელობის სხვა წევრები.

საუბრის დროს, რომელმაც ძმურ და გულითად ვითარებაში ჩაიარა, დელეგაციებმა ერთმანეთს გააცნეს თავიანთი პარტიების საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკა.

ამბები პაკისტანიდან

უბედურების მსხვერპლთა პატივსაცემად

ყარაჩი. 19 ნოემბერი. (საკადესი). **სამგლოვიარო პროცესია გაიმართა გუშინ დაკაში — აღმოსავლეთ პაკისტანის დედაქალაქში. პროცესიის მონაწილეებმა ჩაიარეს ქალაქის ძველ ნაწილში იმ სტიქიური უბედურების მსხვერპლთა ხსოვნის პატივსაცემად, რომელმაც 13 ნოემბერს ათეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და უდიდესი მატერიალური ზარალი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას.**

ადგილობრივი გაზეთების კორესპონდენტები, აგრეთვე უცხოელი ეურნალისტები გადმოსცემენ თავიანთ რეპორტაჟებს მოვლენების ადგილიდან. მათი ცნობების თანახმად, ათასობით დალუპულთა გვამები დღემდე ავსებენ ტბორებს, ცურავენ მდინარეებში, იხრწნება მინდვრად. ცოცხლად დარჩენილთ არ ძალუძთ თავი გაართვან დალუპულთა დაკრძალვას. მაშველ სამუშაოებში ჩაბმული არიან ჯარები, სამხედრო-საზღვაო ხომალდები, პაკისტანის შეიარაღებული ძალების ვერტმფრინავები.

მდგომარეობა ართულებს ქოლერის ეპიდემიას, რომელიც გავრცელდა სტიქიური უბედურების რაიონებში, განსაკუთრებით სათიასა და ბჰოლას კუნძულებზე. მოსახლეობა მწვავედ განიცდის სურსათის, წყლის, ტანსაცმლის ნაკლებობას.

მთავრობა ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს. დაზარალებულთა დასახმარებლად გავიდა ოთხი გემი დაკიდან და ჩიტაგონგიდან.

დაკაში ჩამოვიდნენ დაზარალებულთათვის საჭირო საკონლით დატვირთული თვითმფრინავები ირანიდან, შვეიცარიიდან, დასავლეთ გერმანიიდან და კუვეიტიდან.

ეროვნული გლოვა

რავალპინდი. 19 ნოემბერი. (საკადესი). პაკისტანის პრეზიდენტმა იაჰია ხანმა 20 ნოემბერი გამოაცხადა ეროვნული გლოვის დღედ აღმოსავლეთ პაკისტანის სანაპირო რაიონებში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად დალუპულ მსხვერპლთა ხსოვნის პატივსაცემად.

საბჭოთა მეზღვაურები დაეხმარნენ

ყარაჩი. 19 ნოემბერი. (საკადესი). **საბჭოთა სატვირთო გემის „მედნოგორსკის" მეზღვაურებმა ბენგალის ყურეში აიყვანეს ოთხი პაკისტანელი, რომელიც 13 ნოემბერს ქარიშხლის დროს ნავმა გაიტაცა ზღვაში. დაზარალებულთა — ორ მამაკაცს, ქალსა და ბავშვს — აღმოუჩინეს პირველი სამედიცინო დახმარება, და ახლა მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. საბჭოთა მეზღვაურებმა გადარჩენილები ჩიტაგონგში ჩაიყვანეს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერებისა და ტექნიკის მესანიშნავი მიღწევა

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პრესა კვლავ აქცეყნებს ცნობებს, კომენტარებს, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო სპეციალისტთა გამონათქვამებს, რომლებშიც ისინი მაღალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა კავშირის შესანიშნავ ექსპერიმენტს კოსმოსში.

პრაღა. საბჭოთა კავშირის მიერ „ლუნოხოდ-1" აპარატის საშუალებით განხორციელებული მეცნიერული ექსპერიმენტი მთვარისა და კოსმოსის გამოკვლევის პრინციპულად ახალი მეთოდის დასაწყისია, თქვა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში თვალსაჩინო ჩეხოსლოვაკიელმა მეცნიერმა, **დოქტორმა ბორის ვალნიჩეკმა.**

ბერლინი. „ლუნა-17" ავტომატური სადგურის საშუალებით განხორციელებული უმნიშვნელოვანესი ექსპერიმენტი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში **შეაფასეს როგორც საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ტრიუმფი და მთვარის გამოკვლევის ახალი ერის დასაწყისი.**

ლიმა. „ლუნოხოდ-1" — საბჭოთა მეცნიერების გენიალური ქმნილება ახორციელებს დიდმნიშვნელოვან კვლევას. **მისი შეუფერხებელი მუშაობა საუკუნის ერთ-ერთი ფანტასტიკური მეცნიერული გამარჯვებაა,** — ნაზაგასმულია პერუს გაზეთ „კომერსიოს" **სარედაქციო სტატიაში.**

ბოგოტა. „**საბჭოთა თვითმავალი აპარატის ისტორიაში პირველი მეცნიერულ-კვლევითი რეისი მთვარის ზედაპირზე უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენაა",** — თქვა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში კოლუმბიის ეროვნული პლანეტარიუმის დირექტორმა ასტრონომმა კლემენტე გარავიტომ. მეცნიერმა აღნიშნა დედამიწიდან მართული მთვარემავლის უდიდესი უპირატესობანი. **„მისი გამოყენებით,** — თქვა გარავიტომ, — **ისახება მეცნიერული პერსპექტივები. საბჭოთა მეცნიერების მიერ შექმნილი ავტომატური აპარატურა საფრთხეში არ აგდებს ადამიანის სიცოცხლეს და ამიტომაც იდეალურია ციურ სხეულთა შესწავლისათვის".**

ბონი. „ბრწყინვალე წარმატება" — ასე აფასებს საბჭოთა კოსმოსურ ექსპერიმენტს დასავლეთ გერმანული „დი ველტი". **უდავოა,** — წერს გაზეთი, — **რომ უმძღოლოდ, ადამიანის მიერ შექმნილი პირველი მანქანის მოძრაობა მთვარის ზედაპირზე ეკუთვნის კოსმონავტიკის ყველაზე მნიშვნელოვან ტექნიკურ მიღწევათა რიცხვს.**

დასავლეთ ბერლინი

სკანდალური შემთხვევა

დასავლეთი ბერლინი. 19 ნოემბერი. საკადესის კორესპონდენტი ე. ბაშმაჩნიკოვი გვატყობინებს:

ნეონაცისტი ვაილი, რომელიც დააპატიმრეს 6 ნოემბერს ღამით დასავლეთ ბერლინის ტირგარტენის რაიონში საბჭოთა მეომრების ძეგლთან საბჭოთა გუშაგზე თავდასხმის გამო, გაიქცა. როგორც იუწყებიან, ვაილი გაიქცა, როცა იგი წინასწარი პატიმრობის კამერიდან მიჰყავდათ დასავლეთ ბერლინის პოლიციაში.

დამნაშავის გაქცევის გარემოებანი გაოცებას იწვევენ. როგორც შინაგან საქმეთა სენატორმა ნიობაუერმა განაცხადა, ვაილი პოლიციაში დაკითხვაზე მიჰყავდა მხოლოდ ერთ შეუიარაღებელ მოხელეს.

დასავლეთ ბერლინის მმართველმა ბურგომისტრმა შიუცმა გაქცევის შემთხვევას სკანდალური უწოდა და განაცხადა, რომ ბრალდებულთა მიმართ გამოიყენებენ დისციპლინურ სახდელს. შიუცმა თქვა, რომ გაცემულია ბრძანება — რაც შეიძლება მალე დაიჭირონ გაქცეული დამნაშავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას

● **სოფია.** (საკადესი). აქ ხელი მოაწერეს ბულგარეთის თათბირის მონიკი, 92-ე პლენარული სხდომა გაიმართა დღეს პარიზში კლებერის ავენიუზე, საერთაშორისო კონფერენციათა სახლში.

მომავალ აზრთა გაზიარება

● **ბერლინი.** (საკადესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის მიღწეულია შეთანხმება ნოემბრის დამლევს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში დაიწყონ გათვალისწინებული აზრთა გაზიარება საკითხებზე, რომლებიც წამოყენებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის 1970 წლის 29 ოქტომბრის მიმართვაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერისადმი.

პატრიოტთა მარჯვე ცეცხლი

● **პარიზი.** (საკადესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მეზენიტეებმა გუშინ ბინდინის პროვინციაში ჩამოაგდეს ამერიკის მზვერავი ვერტმფრინავი.

გენერალურ ასამბლეაზე

● **ნიუ-იორკი.** (საკადესი). იემენის, ბირმის, მალის, პერუს, საბჭოთა კავშირის, რუმინეთისა და ალჟირის წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე მხარი დაუჭირეს 18 ქვეყნის რეზოლუციის პროექტს, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ აღადგინონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და განდევნონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან ჩანკაი-შელთა წარმომადგენელნი.

ფერიდ-ფერიდი

კერძების ოსტატი

რუდოლფ კრობოტის პირად ბიბლიოთეკაში ორი ათას წიგნზე მეტია. თვით რუდოლფი როსტოკის (გდრ) თეატრის ერთ-ერთ კომბინატში მუშაობს მზარეულად. ამ ბიბლიოთეკის წიგნების უმეტესობა საკულინარო ხელოვნებისადმია მიძღვნილი. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სხვადასხვა დროისა და ხალხების სამზარეულოს აღწერილობა. აქ შეგიძლიათ ეპოვნოთ დღეისათვის უცნობი, ძველი დროის კულინარების კერძების რეცეპტები.

გემრიელი კერძი რომ დაამზადოს, რ. კრობოტი ხშირად მიმართავს ხოლმე თავისი კოლეგების „საიდუმლოებას", რომლებიც რამდენიმე საუკუნის წინათ ცხოვრობდნენ. ვისაც ბედნიერება ჰქონდა ამ შესანიშნავი ოსტატის გაკეთებული კერძი ეგემნა, ის ყოველთვის აღფრთოვანებული დარჩენილა მისი ოსტატობით.

მილიონი წლების შემდეგ

მუზეუმის ეპოქის (185-70 მილიონი წლის წინათ) უძველესი ცხოველების ნაშთები აღმოაჩინა პოლონეთისა და მონღოლეთის სპეციალისტთა პალეონტოლოგიურმა ექსპედიციამ. გათხრები წარმოებდა, ძმა ვიღაც კაცები მოჰყავდათ. ისინი ლაზარეტნების საბჭოთა პასპორტებს ეძებდნენ, ენდოდათ მოეპარათ, რომ ლაზარეტნებისათვის ისრაელიდან თავის დაღწევის ყოველი იმედი მოესპოთ.

ისრაელში ყოველ ჩასულს სოხნუტის (ასე ეწოდება „ემიგრანტებთან მომუშავე საგენტოს) მოხელენი თითქმის გულში იკრავენ. შემდეგ კი...

— სოხნუტის აგენტებთან, — მოგვითხრობს ლაზარეტნი, — ჩვენ ბევრჯერ მოგვიხდა შეხვედრა. მათი მიზანია რაც შეიძლება მაგრად

თვალისაჩქერი ფასი

ასეთია „ისრაელის საქმოთხე"

ქონდა შემთხვევითი მუშაობით, ოჯახიანად სიღატაკესა და გაჭირვებაში ცხოვრობდა. ხოლო მაღალია და სამხატვრო სალონი აღმოჩნდა გამონაგონი, სიცრუე, სოხნისტური ორგანიზაციების პროვოკაცია.

იუდა ლაზარეტნის ბედმა გაუღიმა: მან არ შეავსო მათხოვრებისა და მაწანწალების არმია, რომლებითაც სავსეა შუკ-კარმელის ქუჩა ბაზართან • და ტელ-ავივის ერთ-ერთი ცენტრალური პროსპექტი — ალენბი. იგი მოეწყო მუშად ტელ-ავივის სუპერ-მარკეტის (უნივერმაღის) ხორცის საამქროში. ბინაც მიიღო, მართალია, კაბალური პირობებით. მაგრამ თვით გარემო ისრაელში,— მილიტარისტული ციებ-ცხელება, ებრაელთა დაყოფა „წმინდებად" და „არაწმინდებად", ყველანაირი დისკრიმინაცია სსრ კავშირიდან ჩამოსულებისა, რასობრივი ფაშისტური ბოდვა, აყვანილი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში—ყოველივე ამან სწრაფად აუხილა თვალი ლაზარეტნის.

— მე მხოლოდ „ხამორის" — ვირს მიწოდებდნენ, — ამბობს ლაზარეტნი. — რამდენჯერმე „შემოხვევით" ჩამკეტეს მაცივარში. რომ არ გავყინულიყავი, ერთი ადგილიდან მეორეზე გადამჭონდა ხორცი. და როცა ერთი საათის ან მეტი დროის შემდეგ გაიღებდნენ მაცივარს, ყველა იცინოდა...

— **ქსენია, რომელთანაც მე სიყვარულითა და თანხმობით გავაერთიანებ, ძმას ვიღაც კაცები მოჰყავდა. ისინი ლაზარეტნების საბჭოთა პასპორტებს ეძებდნენ, ენდოდათ მოეპარათ, რომ ლაზარეტნებისათვის ისრაელიდან თავის დაღწევის ყოველი იმედი მოესპოთ.**

ისრაელში ყოველ ჩასულს სოხნუტის (ასე ეწოდება „ემიგრანტებთან მომუშავე საგენტოს) მოხელენი თითქმის გულში იკრავენ. შემდეგ ყველაფერი გაიკეთა: ლაზარეტნებს ქალიშვილისათვის არავითარი ამანათი არ გაუგზავნია. ეს გაუკეთებია ლონდონში არსებულ დინერმანის ფირმას — სოხნუტის შენიღბულ ფილიალს.

ლაზარეტნების ოჯახმა მაინც მოახერხა თავი დაეღწია ისრაელიდან. მეტი წილი ნივთები გაყიდეს, ნაწილი კი, ეჭვი რომ არ გამოწვიათ, სოხნუტის ბინაზე დატოვეს, და შეგროვილი ფულით ავსტრიის ტურისტული საგზური შეეძინეს. მაგრამ ვენაშიც, სადაც ლაზარეტნები ცხოვრობდნენ, სანამ განხილული იქნებოდა მათი თხოვნა საბჭოთა მთავრობისადმი — სამშობლოში დაბრუნების ნებართვის შესახებ, სოხნუტი მათ მოსვენებას არ აძლევდა. სხვადასხვა სამოსელში გახვეული მისი აგენტები მიდიოდნენ მათთან, ურჩეოდნენ, ემუქრებოდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ თავიანთი ბადიდან არ გაეშვათ.

ახლა ლაზარეტნები შინ, კიშინიოვში არიან. იუდა ძველ ადგილას მუშაობს, ქსენია კი ავადმყოფობს: სულიერი და ფიზიკური ჭრილობები ნელა უშუშდება.

— რა სიტყვებით გამოვთქვა, — ამბობს ლაზარეტნი, — **უდიდესი მადლობა სამშობლოსადმი, რომელმაც, მიუხედავად ჩვენი დანაშაულისა მის წინაშე, გაჭირვებაში არ მიგვატოვა, ზურგი კი არ შეგვაქცია, არამედ დახმარების ხელი გამოგვიწოდა!**

დანიელ გეკნერი,
ეურნალისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას

● **სოფია.** (საკადესი). აქ ხელი მოაწერეს ბულგარეთის თათბირის მონიკი, 92-ე პლენარული სხდომა გაიმართა დღეს პარიზში კლებერის ავენიუზე, საერთაშორისო კონფერენციათა სახლში.

საფრანგეთის ხელისუფალთა გადაწყვეტილება

● **პარიზი.** (საკადესი). კოლომბე-ლე-დეზ-ეგლიზი, სადაც გარდაიცვალა და დაკრძალეს გენერალი დე გოლი, გამოცხადებულია „ეროვნული მნიშვნელობის დასახლებულ პუნქტად". განცხადებაში, რომელიც კულტურის საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა, ხაზგასმულია, რომ მთავრობა აპირებს დაიცვას კოლომბე-ლე-დეზ-ეგლიზი და მისი გარემომცველი პეიზაჟი ახლანდელი სახით. გენერალი დე-გოლი დიდხანს ცხოვრობდა კოლომბე-ლე-დეზ-ეგლიზში.

სხდომა კლებერის ავენიუზე

● **პარიზი.** (საკადესი). ვიეტნამის საკითხზე ოთხმხრივი თათბირის მონიკი, 92-ე პლენარული სხდომა გაიმართა დღეს პარიზში კლებერის ავენიუზე, საერთაშორისო კონფერენციათა სახლში.

მომავალ აზრთა გაზიარება

● **ბერლინი.** (საკადესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის მიღწეულია შეთანხმება ნოემბრის დამლევს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში დაიწყონ გათვალისწინებული აზრთა გაზიარება საკითხებზე, რომლებიც წამოყენებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის 1970 წლის 29 ოქტომბრის მიმართვაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერისადმი.

პატრიოტთა მარჯვე ცეცხლი

● **პარიზი.** (საკადესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მეზენიტეებმა გუშინ ბინდინის პროვინციაში ჩამოაგდეს ამერიკის მზვერავი ვერტმფრინავი.

გენერალურ ასამბლეაზე

● **ნიუ-იორკი.** (საკადესი). იემენის, ბირმის, მალის, პერუს, საბჭოთა კავშირის, რუმინეთისა და ალჟირის წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე მხარი დაუჭირეს 18 ქვეყნის რეზოლუციის პროექტს, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ აღადგინონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და განდევნონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან ჩანკაი-შელთა წარმომადგენელნი.

მრავალეროვანი სოფელი

იუგოსლავიის ქალაქ ნოვი სადის მახლობლად მდებარეობს სოფელი ჩერევიჩი. მასში რამდენიმე ათასი მცხოვრებია და ისინი 27 ეროვნებას წარმოადგენენ.

ჩერევიჩში ყველაზე მეტია სერბები, ხორვატები, სლოვენები, მაკედონელები და ჩერნოგორიელები. ისინი სხვადასხვა დროს სახლდებოდნენ. აქ და, როგორც წესი, დღემდე ინარჩუნებენ თავიანთ ეროვნულ ტრადიციებსა და ჩვეულებებს. ასევე შეინარჩუნეს თავიანთი თვითმყოფობა ჩერევიჩში მცხოვრებმა ბერძნებმა, თურქებმა, უნგრელებმა, ჩეხებმა, სლოვაკებმა, გერმანელებმა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებმა.

თქვენ ხედავთ ევროპის ყველაზე მაღალ მამაკაცს ერჰარდ ველერს, რომელიც ახლა დასავლეთ გერმანიის ქალაქ ერლანგენში ცხოვრობს. თავის მშობლიურ ქალაქ ცვიკაუში (გდრ) სტუმრად ყოფნისას იგი შეხვდა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დაბალ ქალს ლილიპუტ ლია გრაფს.

ერჰარდი 41 წლისაა, მისი სიმაღლეა 2 მეტრი და 38 სანტიმეტრი, წონა 120 კილოგრამი, ფეხსაცმლის ზომა — 52. ლია 55 წლისაა. მისი სიმაღლე 1 მეტრი და 01 სანტიმეტრია, წონა 20 კილოგრამი, ფეხსაცმლის ზომა — 25.

სურათზე ისინი გადაღებული არიან ქალაქ ცვიკაუში გასეირნების დროს. მარჯვნივ ერჰარდ ველერის ძმაა. იგი ჩვეულებრივი სიმაღლისაა.



შეხვედრა საფრანგეთთან

საბჭოთა კულტურის დღეები საფრანგეთში

საფრანგეთში დიდი წარმატებით დამთავრდა **საბჭოთა კულტურის დღეები**, რომელიც მოეწყო „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის ინიციატივით. ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი კულტურული ღონისძიება, რომელიც ლენინის საიუბილეო წელს განხორციელდა და დაემთხვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 53-ე წლისთავს.

საქართველოს წილად ხვდა საბჭოთა კავშირის თხუთმეტი მრავალეროვანი რესპუბლიკიდან ერთ-ერთი წარმომადგენელი ყოფილიყო საფრანგეთში. საბჭოთა კულტურის დღეებში მონაწილეობდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის დელეგაცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის დ. ჩხიკვიშვილის მეთაურობით. დელეგაციაში შედიოდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე, გაზეთ „ლენუველ დე მოსკუს“ ფრანგული გამოცემის რედაქტორი ბ. სოკოლოვი და საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი გ. ზაუტაშვილი.

„საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციამ საბჭოთა კულტურის დღეებში მონაწილეობის მისაღებად პერსონალურად მიიწვია სსრ კავშირის სახალხო არტისტი სერგო ზაქარიაძე.

პარიზში გაემგზავრნენ ქართული საბჭოთა ხელოვნების წარმომადგენლები — **საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლის მოცეკვავეთა ჯგუფი**, ძველი ხალხური სიმღერების ანსამბლი „ბორდელა“ და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა“. საფრანგეთში გაემგზავრა ავრეთვე ტურისტთა ჯგუფი.

საქმიანის კორესპონდენტთან მიცემულ **ინტერვიუში გ. მელაძემ** ილაპარაკა საფრანგეთში გამართული **საბჭოთა კულტურის დღეებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ.**

— საბჭოთა ადამიანები, — თქვა გივი მელაძემ, — მშვიდობისა და მეგობრობის ლენინური პოლიტიკის პრინციპების საფუძველზე ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ განაგიათარონ და განამტკიცონ მეგობრობა და თანამშრომლობა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებთან. ამიტომ „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის წინადადებას — საბჭოთა კულტურის დღეების მოწყობის შესახებ საფრანგეთში, დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ.

როცა ამ კულტურის დღეებისათვის ემზადებოდა, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოება ამოცანად ისახავდა ეთქვა ფრანგებისათვის სიმართლე საბჭოთა საქართველოს შესახებ, რომელიც მალე იზეიმებს თავის ნახევარი საუკუნის იუბილეს, გაეცნო მისი ხალხის ცხოვრება, შესანიშნავი გარდაქმნები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა ჩვენს უძველეს მიწა-წყალზე.

საფრანგეთში გაიგზავნა **ფოტოგამოფენა**, რომლებიც ასახავენ ქართველი ხალხის ისტორიებს ეკონომიკაში, მეცნიერებაში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში, ჯანმრთელობის დაცვაში. ამას გარდა მოზაბლდებული იყო **ფოტოგამოფენა**, რომელიც დამთვალიერებელთ აცნობს საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლებს. დიდი მუშაობა შესრულდა სხვა გამოფენების — ჭედურობის, კერამიკის, ხის ჩუქურთმის, ხალიჩების, ნაქარგების, ეროვნული კოსტიუმების, ბავშვთა ნახატების გამოფენათა შესაქმნელად.

საფრანგეთში „**სამოგზაუროდ**“ წაიღეს აგრეთვე ჩვენი საუკეთესო დოკუმენტური, მხატვრული და მულტიპლიკაციური ფილმები — „**საქართველოს სსრ**“, „**თბილისი**“, „**საქართველო ბორცვებზე**“, „**ჟურნალი ბიჭვინთა**“, „**ჟორდანია**“, „**ჩხიკვთა ქორწილი**“ და სხვ.

საზოგადოებამ ცოდნის სხვადასხვა დარგის ექვსი ათასამდე წიგნი გაბედავნა. ამ-ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ წიგნებს. ფრანგულ ენაზე გამოიცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შ. მესხისა ბროშურა „**საქართველოს ისტორია**“, დოცენტ ნ. ნავყვიჩის ბროშურა „**საბჭოთა საქართველო**“, **სსრ** კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შ. ამირანაშვილის ბროშურა „**საქართველოს ხელოვნება**“, პროფესორ დ. ფანგნულიძის ბროშურა „**საფრანგეთ-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობა XII-XIX საუკუნეთა**“ და სხვ.

საბჭოთა კულტურის დღეები, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 10 ოქტომბერს საფრანგეთის ერთ-ერთ უდიდეს სამრეწველო და კულტურულ ცენტრში — **ლიონში**. ვრცელი დარბაზის თაღებქვეშ გაისმოდა გულწრფელად წარმოთქმული სიტყვები: „მეგობრობა“, „თანამშრომლობა“, „მშვიდობა“, გამარჯვებას უსურვებდნენ **საბჭოთა კავშირს**.

ფრანგმა მეგობრებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ **საბჭოთა კულტურის** დღეებმ დიდსულოვნებამ **ფრანგ** ხალხს **ბრძოლებში** **ოქტომბრის** **რევოლუციის** **ბანერ**ქვეშ **ბრძოლ**ა **ბ**ოლ**ო**ვ**ი**ს **ბ**ა**ტ**ონ**ი**ს **ბ**ა**ტ**ონ**ი**ს **ბ**ა**ტ**ონ

უნიჭიერესი მკვლევარი, მეცნიერი

შ. ცინცაძის დაბადების 70 წლისთავი

ყოველი დიდი ადამიანის დაკარგვა მძიმეა, მაგრამ უფრო გულდასაწყვეტია, როცა ბრწყინვალე ნიჭი ჩაკვდება ახალგაზრდობის ასაკშივე, როცა მოულოდნელად წყდება მჩქეფარე მეცნიერული მოღვაწეობა. ასეთი დიდი ნიჭითა და ტალანტით დაჯილდოებული 37 წლის ახალგაზრდა მკვლევარი დაკარგა საბჭოთა მეცნიერებამ 33 წლის წინათ შალვა რაქლინს-ძე ცინცაძის სახით, რომელსაც დღეს დაბადების 70 წლისთავი შეესრულდა.

შ. ცინცაძე იყო ღირსეული მოწაფე გამოჩენილი ქართველი მეცნიერის პეტრე მელიქიშვილისა. შ. ცინცაძის ორიგინალურ, დიდმნიშვნელოვან შრომებს ნიადაგისა და მცენარეთა ქიმიური ანალიზის მეთოდიკის საკითხებზე, აგრეთვე მცენარეთა კვების ექსპერიმენტულ დარგში ფართოდ იყენებენ საბჭოთა და საზღვარგარეთის საკვლევ ლაბორატორიებში. განსაკუთრებით დიდ გამოყენებას პოულობს მკვებავი ნარევები და ფოსფატის კალორიმეტრიული განსაზღვრის ცინცაძისეული მეთოდები.

შ. ცინცაძე დაიბადა ლანჩხუთში, ღარიბი გლეხის ოჯახში, 1900 წლის 8 ნოემბერს (ძველი სტილით). მშობლიურ დაბაში ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლას განაგრძობს ჯერ ხონის, ხოლო 1919 წელს თბილისის გიმნაზიაში. პარალელურად სწავლობდა ჭმაღლეს სასოფლო-სამეურნეო კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ მას 1921 წელს იღებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კურსზე. ეს ფაკულტეტი შ. ცინცაძემ 1923 წელს დამთავრა და მიიღო სწავლული აგრონომის წოდება.

უნივერსიტეტში სწავლისას მან ქიმიური მეცნიერებისადმი დიდი ინტერესი და მიდრეკილება გამოიჩინა. ამავე დროს, თავისი ნიჭითა და უნარით დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ამიტომ იყო, რომ კურსის დამთავრებისთანავე პროფესორმა ფაკულტეტის ხელმძღვანელობას სთხოვა ცინცაძე უნივერსიტეტში დატოვებინა აგრონომიულ ქიმიაში მოსამზადებლად. ამის საფუძველზე მას 1923 წლის იანვარში ნიშნავენ ასისტენტად. უნივერსიტეტში მან მხოლოდ ერთი წელი იმუშავა. 1924 წლიდან კი კვლავ პ. მელიქიშვილის რეკომენდაციით მიღებულ იქნა მოსკოვში, სადაც მუშაობდა აკადემიკოს ნ. დ. ზელინსკის ხელმძღვანელობით მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში და აკადემიკოს დ. ნ. პრიანიშნიკოვის ხელმძღვანელობით ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში.

შ. ცინცაძის მიერ შემუშავებული საკვები ხსნარების ნარევებს აკადემიკოსმა დ. პრიანიშნიკოვმა ცინცაძის ნარევი შუოდ, რომლის ხუთ სხვადასხვა სახეობას დღესაც ფართოდ იყენებენ საველეტაციო წყლისა და ქვიშის კულტურებში.

„ცინცაძის რეაქტივს" ამყამად ამზადებენ მოსკოვის ვოიკოვის სახელობის ქარხანა და საზღვარგარეთის მრავალი ცნობილი ფირმა.

1927 წელს შ. ცინცაძე შემდგომი კვლევითი მუშაობისათვის მივლინებულ იქნა საზღვარგარეთ, სადაც სამი წლის განმავლობაში ბერლინის უნივერსიტეტსა და ბრესლავის ინსტიტუტში გამოჩენილ პროფესორებთან ერნენბერგთან, ვილცთან, ნეიმანთან და ლემერმანთან დაამუშავა ფოსფორისა და დარიშხანის განსაზღვრის ახალი კალორიმეტრიული მეთოდები. მან მიიღო სხვადასხვა ფიზიკური მდგომარეობის ფოსტატი, რომელიც დამოკიდებული იყო შენახვის დროსა და ტემპერატურაზე. ამავე თემაზე ბრესლავის ინსტიტუტში იცავს სადოქტორო დისერტაციას, რომლის შედეგები საუკეთესო აღმოჩნდა და ფართოდ დაინერგა ყველგან.

1930-1933 წლებში შ. ცინცაძე მუშაობდა პარიზის უნივერსიტეტში აკადემიკოსებთან დემელონთან და ბერტრანთან. აქ იგი რენტგენის სხივების მეშვეობით სწავლობდა ფოსტატების სტრუქტურას და ისეთი საკვები საშუალებები (ნარევები) შეიმუშავა, რომლებშიც წყალბადიონების კონცენტრაცია ძალზე უმნიშვნელოდ იცვლება და ამდენად შეუარრუნებულია მეცნიარის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები. ამ მიტად მნიშვნელოვანი გამოკვლევისათვის შ. ცინცაძეს პარიზის უნივერსიტეტში მიანიჭეს ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1933 წელს შ. ცინცაძე კვლავ მეცნიერულ მივლინებაშია. ამჯერად ინგლისში, სადაც მუშაობს ლონდონისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში და როტამსტედის საცდელ სადგურში აკადემიკოსებთან რასელთან და ფიშერთან. აქ შ. ცინცაძე სწავლობდა ქიმიაში მათემატიკური სტატისტიკის ახალი მეთოდების გამოყენებას.

1934 და ნაწილობრივ 1935 წლებში შ. ცინცაძე იყო ამერიკაში, სადაც მეცნიერ მუშაკად და პედაგოგად მუშაობდა როჩესტერის, ჯონ ჰოპკინსისა და კალიფორნიის უნივერსიტეტებში.

კვლევითი მუშაობის პროცესში ცინცაძემ სრულყო მრავალი სამეცნიერო აპარატურა, მაგალითად, გაუმჯობესა ულტრასანფილტრაციო აპარატი, ხოლო თვითონ ავტორია ფოტომეტრიული კოლორიმეტრისა, რომელსაც იყენებენ ფოსფორმჟავას განსაზღვრისათვის.

შ. ცინცაძე სამშობლოს დაუბრუნდა ქიმიის სხვადასხვა დარგში დიდი გამოცდილებითა და ცოდნით აღჭურვილი. მასზე აკადემიკოსი ნ. დ. ზელინსკი ამბობდა: „შ. ცინცაძე უნიჰიერესი მკვლევარი და მეცნიერია, რომელმაც ძალიან ბევრი თეორიული და პრაქტიკულად საინტერესო გამოკვლევა ჩაატარა ქიმიის აბა თუ იმ დარგში, იმლევა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაფართოება-გაღრმავების ყველა შესაძლებლობას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საქეთილდღეოდ.

აკადემიკოს ზელინსკის ამ შეფასებას სავსებით ეთანხმება ნ. პრიანიშნიკოვი და მხარს უჭერს ნ. ზელინსკის წინადადებას, რომ შ. ცინცაძეს დისერტაციის წარუდგენლად მიენიჭოს ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

და მართლაც, ამ რეკომენდაციების საფუძველზე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1936 წლის 20 დეკემბრის სხდომაზე შ. ცინცაძეს დისერტაციის დაუცველად მიენიჭა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ორგანულ ნამუშევართა დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა და ის, რომ მრავალი მათგანი ამყამად ბიტიოგრაფიულ ფაქტობას წარმოადგენს და მიიღო გადაწყვეტილება პროფესორ შ. ცინცაძის რჩეულ ნაშრომთა გამოცემის შესახებ.

კრებულის შედგენა ითავა პროფესორმა დ. ''ინანზმა, ხოლო რედაქტორობა — აკადემიკოსმა ვ. კლიჩკოვსკიმ. მაგრამ პროფესორ ასკინაზის გარდაცვალების გამო ეს კარგი საქმე დღემდე ვერ განხორციელდა.

ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში არნახული გასაქანი ჰპოვა ქიმიამ არა როგორც მხოლოდ მეცნიერების დარგმა, არამედ როგორც სახალხო მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანმა დასაყრდენმა, საჭიროა ყველამ, მეტადრე ახალგაზრდობამ, გაიცნოს სასიქადულო ქართველი მეცნიერის შალვა რაჟდენის-ძე ცინცაძის ცხოვრება და შემოქმედება.

ი. სარიშვილი,
საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი, აგროქიმიის კათედრის გამგე.

ნაირ-ნაირი

მწყემსისა და დათვის ორთაბრძოლა

ტყიბული. კისორეთის კოლმეურნეობის საზოგადოებრივი პირუტყვის ფერმას, რომელიც მაღალ მთებში მდებარეობს, დათვი შეეჩვია, მტაცებელმა უკანასკნელ სამ თვეში ფერმის ოთხი და კოლმეურნეთა ორი ძროხა შეჭამა. მანვე გაანადგურა აგრეთვე ორ ათეულამდე ღორი. შემდეგ თაფლსაც გაუსინჯა გემო და კოლმეურნეობის სკის 4 ოჯახი მოსპო.

...ნაშუადღევი იყო. ფერმის მწყემსი იაკობ ერაძე დაკარგული ძროხის საძებნელად წავიდა ტყეში. იქ საუკუნოვან წაბლნარში ვეება დათვს პირისპირ შეეჩეხა. ნადირი ყალუზე დადგა, საშინლად დაიღრიალა და მწყემსსაკენ გამოიშურა. გაიმართა სასტიკი ორთაბრძოლა. მწყემსი არ დაიბნა, სწრაფად იძრო ერთადერთი იარაღი — ხანდირო დანა, შეურჩია დრო და გულში ჩასცა გამძვინვარებულ ნადირს. ორთაბრძოლა ადამიანის გამარჯვებით დამთავრდა. მწყემსი თავისი ფეხით მივიდა სოფელში, ექიმებმა იგი სასწრაფოდ მოათავსეს საავადმყოფოში. ერთი კვირის მკურნალობის შემდეგ ი. ერაძე გამოჯანმრთელდა და თავის ოჯახს დაუბრუნდა.

კოლმეურნეებმა უჩვეულო ნანადირევი ურმით ჩამოიტანეს სოფელში. დათვი 227 კილოგრამს იწონიდა. კისორეთის კოლმეურნეობის გამგეობამ მამაც მწყემსს მადლობა გამოუცხადა.

ვ. ციბერკაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

გურთი აკენწლა... 14.313-ჯერ

მთელი საათისა და კიდევ ორმოცდასუთი წუთის განმავლობაში კენწლავდა რუმინეთის ქალაქ ბრაშოვში მცხოვრები მოსწავლე დეკებალ კიმპიანუ ტყავის ბურთს ისე, რომ ერთხელაც არ დაუგდია იგი მიწაზე. ამ ხნის მანძილზე 15 მეტრი რადიუსის წრეში მან 14.313-ჯერ აკენწლა ბურთი. 15 წლის დეკებალმა გაიმარჯვა „ბურთიათ ჟონგლიორობის" კონკურსში, რომელიც გაზეთმა „სპორტულმა" მოაწყო. კონკურსში მონაწილეობდა 13-18 წლის თვრამეტი ბიჭუნა და ჭაბუკი, ისინი, ვინც გაიმარჯვა რუმინეთის სკოლებსა და საფეხბურთო კლუბებში გამართულ საკონკურსო შეჯიბრებებში. მეორე ადგილი დაიკავა თექვსმეტი წლის კლუჟელმა იონ კოსტინმა, რომელმაც 9.457-ჯერ აკენწლა ბურთი.

კონკურსი მოეწყო უდიდეს, „რესპუბლიკის" სტადიონზე. მისი ლაურეატები სპეციალურად აღიარეს რუმინელმა მწვრთნელებმა — დროთა განმავლობაში ჟონგლიორები შეიძლება კარგი ფეხბურთელები გახდნენ.

ბუქარესტი. **ფ. ჭარიკოვი,**
(საკადესის კორ.).

ვეტერანები და „ახალბედები"

ახლა პალმა დე მალიორკაზე მიმდინარე საზონათაშორისო ტურნირი სამი წლის წინათ სუსში (ტუნისი) გამართულ ასეთსავე შეჯიბრებას რომ შეადაროთ, თვალში გვეცემა ერთი გარემოება — 11 ახლანდელი მონაწილე სუსშიც გამოდიოდა — რ. ფიშერი, ბ. ლარსენი, ე. გეგერი, ს. გლიგორიჩი, ბ. იგოვი, მ. მატულოვიჩი, ჰ. მეკინგი, დ. სალოსი, ლ. პორტიში, ს. რეშევსკი და ვ. ჰორტი.

არც ერთი საერთაშორისო საჭადრაკო შეჯიბრება არ ჩატარებულა უსენსაციოდ. ამჯერად ეს გახლდათ მონღოლი ოსტატის უიტუმენის ზეადზედ სამი მოგება, მათ შორის ს. რეშევსკისთან და მ. მატულოვიჩთან. უიტუმენი ახალბედა როდია საერთაშორისო ტურნირებში, მაგრამ ახე კარგად არასოდეს არ უთამაშნია.

სამი წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა: ს. გლიგორიჩმა ისე გავლო სუსის ასპარეზობის 22 ტური, რომ არც ერთი პარტია არ წაუგია. ახლა კი მარცხი პირველ ტურშივე იწვნია.

მეითხველებს უდავოდ აინტერესებთ, როგორ მოხდა, რომ მეოთხე და მეხუთე ტურის პარტიების ნაცვლად მთავარი მსაჯის ო' კელის გაკკარუულებით ორი უკანასკნელი ტურის შეხვედრები გაითამაშეს. ეს გრანდმეისტერ ვ. ჰორტის მოთხოვნით გაკეთდა, რათა ერთი ქვეყნის წარმომადგენლებს ბოლო ტურებში სთამაშონ ალარ ჰქონდეთ.

რ. ფიშერი, რომელსაც სუსში ორგანიზატორებთან დიდი უსიამოვნება მოუვიდა, ახლა მეტად თამაშეკავებული. მას მხოლოდ ერთი უპირატესობა აქვს — შაბათობით არ თამაშობს (შაბათს ე. წ. „მეშვიდე დღის ადვენტისტები", რომელთა სექტასაც რ. ფიშერი ეკუთვნის, არ უნდა მუშაობდნენ). ჯერჯერობით იგი კარგ შედეგებს აღწევს, რითაც ამართლებს წინასწარ პროგნოზებს. იგივე ითქმის გათამაშების მეორე ფავორიტ ბ. ლარსენზეც. საინტერესოა, რომ მსოფლიოს ეკს-ჩემპიონის ტ. პეტროსიანის შეკითხვაზე, რომელ ადგილს „უმიზნებს" იგი პალმაში, ლარსენმა განაცხადა: „მეექვსე ადგილსაც სიამოვნებით დავჯერდებოდი. ეს ხომ შესარჩევი შეჯიბრებაა". ბ. ლარსენისაგან განსხვავებით, რ. ფიშერი მხოლოდ პირველი ადგილისათვის იბრძვის.

პალმაში საბჭოთა გროსმაისტერების მრავალრიცხოვანი დელეგაციაა. ვ. სმისლოვს ახლავს პ. კერესი, ლ. პოლუგაევსკის — ი. ბოლესლავსკი, ე. გეგერს — ე. გუფელდი, მ. ტალის აზრით, ორი საბჭოთა გროსმაისტერი მაინც უნდა მოხვდეს ექვსეულში.

ჯერჯერობით „თავმდაბლად" ბრიან ახალგაზრდები ჰ. მეკინგი, რ. ჰიუბნერი და რ. სალოსი. სამივე მათგანი გროსმაისტერის წოდების პრეტენდენტია, მაგრამ ჯერ წინ დიდი ბრძოლებია.

გ. ბამრეკელი.

* * *

საზონათაშორისო ხაჭადრაკო ტურნირის მერვე ტურში შეხვედრების ნახევარი — გეერ-რუბინეტის, გლიგორიჩ-სმისლოვის, რეშევსკი-ჰორტის, მატულოვიჩ-ფილიპის, ლარსენ-სალოსის, ნარანია-ფიშერის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

მინიჩმა მოუგო ხიმენესს, ივკოვმა დაამარცხა უიტუმენი. პოლუგაევსკი — ულმანის, პორტიშ — ვაიმანოვის, პანო—ჰიუბნერისა და მეკინგ—ადოსონის პარტიები გადაიდო.

ახლა ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: ფიშერს აქვს 6 ქულა და ორი რიგულ პოზიციაში გადადებული პარტია, გლიგორიჩს — 5 ქულა, ულმანს — 4,5 ქულა და ორი გადადებული პარტია, გეერს — 4,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, პანოს — 4 ქულა და ორი გადადებული პარტია, ივკოვს, მინიჩს, პოლუგაევსკის, უიტუმენს და ჰიუბნერს — 4-4 ქულა და თითო გადადებული პარტია. (საკადესი).

რამდენიმე სტრიქონით

● **შეხვურთი:** გრძელდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში.

19 ნოემბერს თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე შედგა ორი მატჩი. ჩვენი რესპუბლიკის „ბ" კლასის ნაკრებმა გუნდმა დაამარცხა საქართველოს ნაკრები 2:1. თბილისის „დინამოს" დუბლიორებისა და „იმედის" გუნდის შეხვედრის შედეგია 1:0 დინამოელთა სასარგებლოდ.

ლიდერები არიან თბილისის „დინამოს" დუბლიორები, რომელებსაც 3 თამაშიდან 6 ქულა აქვთ.

ლვოვის „კარპატის" გუნდი ტურნესათვის კუბას ეწვია. პირველი მატჩი საბჭოთა ფეხბურთელებს ჰქონდათ ჰავანაში „ლატინოამერიკოს" სტადიონზე კუბის ნაკრებთან და დამარცხდნენ 0:1.

ბათუმის „დინამოსა" და გორის „დილას" ამ დღეებში საკავშირო ჩემპიონატის ორ-ორი შეხვედრა ჰქონდათ. დინამოელებმა საკუთარ მოედანზე დაამარცხეს მაიკოპის „დრუჟბა" 1:0 და ფრედ (0:0) დამთავრეს შეხვედრა გორკის „ვოლგასთან". გორში ადგილობრივმა „დილამ" მოუგო გორკის „ვოლგას" 1:0, ლენინაკანში „შირაქთან" კი დამარცხდა 0:1.

● **კალათბურთი.** გუშინ მოსკოვში დედაქალაქის „დინამოსა" და არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ვაჟთა გუნდების სასპარეზობით გაიხსნა ჩვენი ქვეყნის XXXVIII პირველობის გათამაშება კალათბურთში. წარმატება ხვდა ცსკა-ს — 79:78 (43:36).

დანარჩენი 8 გუნდი ბრძოლაში ჩაებმება 22 ნოემბერს. კაუნასის „ვალგარისისა" და თბილისის „დინამოს" გარდა ერთმანეთს შეხვდებიან — ტარტუს „კალევი" და ლენინგრადის „სპარტაკი", კიევში — ადგილობრივი „სტროიტელი" და არმიის სასპორტო კლუბისა და ვეფ-ის გუნდები.

„კომუნისტი" ქრონიკა

ყინულის ზღაპარი

გასტროლები და შთაბეჭდილებები

მოსკოველები ამაყობენ თვიანთი ბალეტით ყინულზე და უყვართ იგი, ისევე როგორც თბილისელებს საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის ნიჭიერი კოლექტივი.

ერთადერთი პრეტენზია, რასაც მოსკოველი და თბილისელი მაყურებლები უყენებენ თავიანთ საყვარელ კოლექტივებს, ის არის, რომ ეს კოლექტივები თავიანთი ქალაქების იშვიათი სტუმრები არიან. ისინი დიდ დროს ანდომებენ გასტროლებს ჩვენი ქვეყნის ქალაქებში და ტურნეებს უცხო ქვეყნებში.

სახელმწიფო ანსამბლი „ბალეტი ყინულზე" 1957 წელს ჩამოყალიბდა, და სულ ორი წელი დასჭირდა იმას, რომ შექმნილიყო ერთიანი საცეკვაო კოლექტივი და უკვე 1959 წელს დაიწყო ანსამბლმა პირველი წარმოდგენების გამართვა საბჭოთა კავშირის ქალაქებში. მის ხელოვნებას უკვე უძრავდნენ ტაშს ჩეხოსლოვაკიელი და პოლონელი, ბულგარელი და რუმინელი, ფინელი და სირიელი მაყურებლები.

თუმცაღა იმ დღეებშიც, როცა ციგურაობის ოსტატები „შინ" არიან, მათს სპექტაკლებზე ბილეთების შოვნა სულაც არ არის იმაზე იოლი, ვიდრე ამყამად თბილისში, სპორტის სასახლისაკენ, სადაც გამოდიან მოსკოველი სტუმრები, გზა გადის „ზედმეტი ბილეთის" მონატრულთა რიგებს შუა.

ეს მხატვრულ-სპორტული ანსამბლი მესამედ ჩამოდის თბილისში. მათი ბოლო ჩამოსვლის შემდეგ ხუთმა წელმა განვლო. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ქალაქში ანსამბლმა გასტროლები დაიწყო თავისი მეორეათასე წარმოდგენით დაარსების დღიდან.

მოსკოველი მსახიობები ამჯერად ახალ პროგრამას უჩვენებენ. სპექტაკლი იწყება პროლოგით „კრემლის ვარსკვლავები" (მუსიკა ვ. ზორინისა), რომელსაც მოსდევს „გაზაფხულის წყლები" (მუსიკა ს. რახმანინოვისა), „სიყვარული და ფანტაზია" (მუსიკა ა. ოსტროვსკისა), „ონინაზები" (მუსიკა ზორინისა), „ცეკვა ხმლებით" (მუსიკა ა. ხაჩატურიანისა), „ცხენები" (მუსიკა ი. ლევიტანისა), „ფიგურისტი დათვი" და სხვ. სპექტაკლის დამდგმელებს სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, პროფესორს ლ. მ. ლავროვსკის, რსფსრ სახალხო არტისტს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ი. ბ. კონდრატოვს, ლატვიის სსრ და სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ევგენი ჩანგას ჩანგას ფართოდ გამოუყენებიათ რუსული და ეროვნული საცეკვაო ფოლკლორის მოტივები. ამასთან ერთად ამ დადგმების ქორეოგრაფია დამახასიათებელია სწორედ ყინულზე ბალეტისათვის, შეესაბამება ამ სინთეზური ჟანრის ყველა მოთხოვნას. ეფექტურია წარმოდგენის უკვე დასაწყისი, როცა სრულ სიბნელეში ზღაპრულ ფერხულში დაჭრიან ნაძვები და თან იდუმალად ბრწყინავენ თავიანთი ტოტების შუქმფენი ფერებით. მხიარულ ღიმილს იწვევს „ზვეიკი ყინულზე", მრავალი საცეკვაო მოძრაობა (მსახიობები კლონოვა, ვ. ლუზინი და ზ. შაკიროვი).

ტემპერამენტითა და მგზნებარებით აღსავსეა ხმლებით ცეკვა ბალეტის ქალთა ჯგუფის შესრულებით. კარგ ოსტატობას უჩვენებს რსფსრ დამსახურებული არტისტი ი. გოლოშაპოვი.

ვირტუოზულ ტექნიკას და ყინულის სახურველის საიდუმლოებათა ცოდნას ამეღავნებს მწვრთნელი ე. რიბაკოვი.

კარგია მასობრივი ცეკვები. პირდაპირ წარმტაცია გრიგალური ტემპი, რომლითაც დაჭრიან ციხფერ ყინულზე ორეულები, სამეულები, ოთხეულები.

„ელეგია" გ. ბესკინას და ლ. გორდონის შესრულებით პოეტური, ნარნარი, მომხიბლავია.

კეთილი სიტყვით გვინდა მოვიხსენიოთ სხვა შემსრულებლებიც, რომელებსაც თავიანთი ჯირების ხაუცხოო, სიხსნლსავსე სახეები შეუქმნიათ: ა. ივანოვი, ვ. ბაბიცკი, ნ. ბელიკოვი, ზ. შაკიროვი და სხვები.

დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს ტოვებს სპექტაკლის ფინალი, თითქმის ყველა ცეკვა მაყურებელთა აღტაცებულ ტაშს იწვევს.

დასის ფართო შემოქმედებითს შესაძლებლობებს მოწმობს თანაბარი წარმატებით შესრულება ისეთი სხვადასხვა სტილის ნომრებისა, როგორიც არის „ადამ და ევა" და აკრობატული „ბზრიალა", სახუმარო „კომედიანტები", ლირიკული „თოვრის სონატა" და სპექტაკლის ფინალი. სპექტაკლის მთელი ფინალი სიინტერესოდ არის მოფიქრებული, თუ შეიძლება ითქვას, გამოიყურება როგორც ახალგაზრდობის, სილამაზის პარადი, განუმეორებელ გამოგონებათა დემონსტრაცია.

ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ მაღალი ოსტატობა, ნიჭი და გამომსახველობა სამხატვრო ხელმძღვანელის და დამდგმელის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, სომხეთის სსრ და ლატვიის სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ევგენი ჩანგისა, რომელმაც მონოლითური და მტკიცე კოლექტივი შექმნა.

ცნობილია, რომ ბალეტი ყინულზე ფანტაზიის ფართოდ გაშლის საშუალებას იძლევა, მაგრამ სწორედ აქ არის ერთგვარი გადაჭარბების, იაფფასიანი ეფექტურობის, ზედმეტობის საშიშროება. მაგრამ, ევგენი ჩანგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას სწორედ რომ არ ღალატობს ზომიერების გრძნობა, რომელიც ესოდენ საჭიროა ყოველი ხელოვანისათვის. ამ მშვენიერ სანახაობაში ყველაფერი თავის ადგილზეა, ყოველი პასაჟი საერთო ჩანაფიქრის სრულყოფილად განხორციელებას ემსახურება და არაფერი არ არის თვითმიზნური.

მოსკოვის ყინულზე ბალეტის ნიჭიერ კოლექტივთან გაცნობა თბილისელებს დიდ კმაყოფილებას განაცდევინებს.

ეჭვი არ არის, რომ ისინი მუდამ მხოლოდ სიამოვნებას მიანიჭებენ თავიანთ გულშემატკივრებსა და ციგურაობის მოყვარულებს.

რ. მაჩაიძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

ეს ფოტოსურათები გადაღებულია თბილისში, როცა წარმოდგენას უჩვენებდა მოსკოვის ბალეტი ყინულზე. ზემოთ — ციკვა ქოლგებთან; მსახიობი ედუარდ რიბაკოვი გაწვრთნილი დათვით — ფიგურისტთან; მარცხნივ — ბალეტის მსახიობები ტატიანა კატკოვსკაია და ლეონიდ გორდონი ასრულებენ ცეკვა „მთვარის სონატას"; ბალერინა ტატიანა ნემცოვა — „ბედი".

ფოტო ვლ. ბინოზაშვილისა
და ს. კილაძისა.

ბ. ბარაბაძე

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1936 წლიდან, გადამდგარი პოლკოვნიკი, დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი ბიჭორ ალექსის-ძე ბარაბაძე.

ბ. ბარაბაძე დაიბადა 1910 წელს წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯში, მუშის ოჯახში. 1929 წელს ინდუსტრიულ-მექანიკური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ჩაება შრომითს საქმიანობაში. ჯერ მუშაობდა მცხეთის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში ტექნიკოსად, 1932-33 წლებში კი იყვლაის საომარი ბიტეულის ქარხანაში. შემდეგ იგი მოღვაწეობდა ქუთაისის მინის მექანიზებული ქარხნის და სხვა მშენებლობებზე.

ბ. ბარაბაძეს 1932 წელს კომკავშირის საგზაო-რკინიგზა წითელი არმიის რიგებში. პირველი ქართული დივიზიის მესამე ქართულ ლეგიონში გაიარა ერთწლიანი კურსები და მიიღო ლეიტენანტის წოდება. 1934 წელს დაინიშნა ამავე დივიზიის მეორე ქართულ ლეგიონის ოცეულის მეთაურად. 1935 წელს დემობილიზებულ იქნა წითელი არმიის რიგებიდან და მუშაობდა სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებში.

1940 წლის თებერვალში ბ. ბარაბაძეს კვლავ იწვევენ წითელი არმიის რიგებში, სადაც ჯერ კერსანტთა ასეულის პოლიტხელი, ხოლო შემდეგ ცალკე ათასეულის პარტიული ბიუროს მდივანი, მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში. სამამულო ომის დაწყებიდანვე იგი მოქმედ არმიაშია.

ბარაბაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა დონბასის, ბელორუსიის, ლიტვისა და აღმოსავლეთ პრუსიის განთავისუფლებისათვის გამართულ სისხლიან სამკვარულ ბრძოლებში. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, წითელი დროშისა და სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენებით.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ბ. ბარაბაძე წლების მანძილზე მუშაობდა ერთერთი მსროელი პოლკის მეთაურის მოადგილედ პოლიტნაწილში. 1952 წელს დანიშნეს ბრიგადის პოლიტგანყოფილების უფროსად, საიდანაც დემობილიზებულ იქნა 1956 წელს და მას შემდეგ სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოზე მოღვაწეობდა.

ბ. ბარაბაძის ხსოვნა მარად იცოცხლებს მისი თანამებრძოლების, მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ტელევიზია

21 ნოემბერი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — სატელევიზიო ფილმი, 11.30 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. „მოდი, ზღაპარო" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — კინოპროგრამა, 12.45 — „საბჭოთა საქართველო-50". „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ" მახარაძის რაიონი — (განმეორებით), 13.50 — კინონარკვევი, 14.05 — „ადამიანი და კანონი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი, 14.30 — „საქართველოს მხატვრები" (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — გადაცემა — „მოგზაურობა შთაგონების სამყაროში" (განმეორებით), 15.40 — დოკუმენტური ფილმი „სერგეი ესენინი", 16.40 — კინონარკვევი — „ნაბიჯები", 17.00 — „მსოფლიო დღეს", 17.20 — ახალი ამბები, 17.25 — „ჯანმრთელობა" — სატელევიზიო ჟურნალი, 18.20 — მოსწავლეთათვის გადაცემა — „შემოდგომაა, შემოდგომა", 18.45 — „საბჭოთა საქართველო-50". „ქართველ დოკუმენტალისტთა ახალი ნამუშევრები", 19.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა, 20.15 — „საბჭოთა საქართველო-50". „იდიდე მარად ჩემო სამშობლოვ" გაგრის რაიონი. 20.55 — კინონარკვევი, 21.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — მხატვრული ფილმი „პროექტი, აკვა". კინოსტუდია „დეფასა" და გდრ-ის ტელევიზიის ნაწარმოები (პირველი სერია), 23.00 — ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები.

22 ნოემბერი

10.15 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ბავშვებისათვის „მაღვიძარა" — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი — „ჩაპაის მართვენი" (ქართულ ენაზე), 12.20 — „საბჭოთა საქართველო — 50". „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ" ცხაკაიას რაიონი (განმეორებით), 13.25 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 14.00 — „ბეთჰოვენის ყველა სიმფონია" (გადმოცემა ერევანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან), 15.00 — ქართული მხატვრული ფილმი „მალე მოვა გაზაფხული", 16.25 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.05 — „საბჭოთა საქართველო — 50" „დიადი წლების ქრონიკა" 1935 წელი, 17.25 — საესტრადო გასართობი პროგრამა, 18.00 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა „კინომოგზაურთა კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.05— „სოფლის მშრომელები" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.35 — „საბჭოთა საქართველო — 50" „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ" ცაგერის რაიონი, 20.25 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — „ლიტერატურა და ხელოვნება" — სატელევიზიო ჟურნალი, 21.40 — მხატვრული ფილმი „პროექტი აკვა" კინოსტუდია „დეფასა" და გდრ-ის ტელევიზიის ნაწარმოები (მეორე სერია), 23.15 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში. „კალევი" ტარტუ „სპარტაკი" ლენინგრადი (გადმოცემა ტალინიდან).

თეატრები

21 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სევილიელი დალაქი; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბებერი მეზურნეები; რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — შუშის სამხიერი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ქალი ადამიანი?!; გრიბოედოვის სახელობის — კრიმინალური ტანგო (უბრალო მენტოდ); მოზარდ მაყურებელთა ქართული — ოქროული ბიჭი (№ 1 ამონ. 5 ს. და 30